# კომუნისტი

ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 6 ИЮНЯ 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 (19745) — სამშაბათი, 6 იანვარი, 1987 წელი. — ფასი 3 კაპ.


## საქართველოს ხალხი ოქტომბრის 70 წლისთავს

**რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ახალი წლის პირველი დღეები ალინიშნა პირველი წარმატებებით — ზეგეგმითი ლითონთა, ქვანახშირით, მადნით, ჩარხებითა და აგრეგატებით.**

**ახალი წელი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელია, და ამ იუბილეს შრომითი წარმატებებით შეხვედრა ყოველი მშრომელის ღირსების საქმეა. კარგად ვიცით, ჩვენს საქმეს სხვა არავინ გააკეთებს, ვერავინ ვერ გადაგვწყვეტს ჩვენს ამოცანებს, ჩვენს პრობლემებს. ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უსათუოდ უნდა მოუმატოს მუშაობას, საფუძვლიანად მოუმატოს. მხოლოდ ასე შეეძლებთ უზრუნველყოთ დაჩქარება და მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი, — თქვა საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მიმართვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.**

**თბილისი.** მორიგი „ვლ-15“ ელმავლის აწყობა დაიწყო ახალი წლის პირველ დღეებში თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივმა. წინა ელმავლებმა წარმატებით გაიარა გამოცდა ურალისა და ციმბირის მაგისტრალებზე.

გაერთიანების მემონტაჟეთა და შემდუღებელთა მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც ოთარ შარიფაშვილი, გიორგი შამანაძე და მიხეილ გოგოლაძე მეთაურობენ, მოუწოდეს კოლეგებს გრაფიკის ერთი თვის გასწრებით დაამზადონ ელმავალი. მათვე იკისრეს კალდებულება, რომ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმას დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულებენ. თანამშრომლებმა [illegible] რთოდ დაუჭირეს მხარი [illegible] ექტივში.

**ჰიათურა.** პირველი ასი ტონა ზეგეგმითი მანგანუმი მოიპოვეს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ლენინის სახელობის მაღაროთასმამართველოს უბნის მშრომელებმა, რომელსაც ს. სამყურაშვილი ხელმძღვანელობს. წარმატებას მიაღწიეს მძლავრი სამთოგვირაბგასაყვანი კომბაინის გამოყენების შედეგად, რომელიც ერთობაშად ხუთ ოპერაციას ასრულებს — გვირაბის გაყვანით დაწყებული მადნის ტრანსპორტიორგზში დატვირთვით დამთავრებული.

## პირველი დღეებიდანვე — მაქსიმალური მონდომებით და პასუხისმგებლობით!

ეკვე მეექვსე დღეა პლანეტაზე დაბიჯებს ახალი, 1987 წელი. მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და გამორჩეულია იგი საბჭოთა ხალხისათვის, მთელი პროგრესული მსოფლიოსათვის — წლეულს ხომ ხაზგასმით ვუსვამთ 70 წლის იუბილეს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, დაამკვიდრა ძმობა, ერთობა, თავისუფლება, დახსაბმა მისცა კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობას.

ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის, სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების ყველა დარგში, სფეროში, უბანზე მოპოვებული კარგი მაჩვენებლებით, ძირეული სასიკეთო გარდაქმნებით, ხასლეებით, ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის განუული შემოქმედებითი, პასუხისმგებლური გარჯის შედეგად მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებით შეეგებნენ მას მთლიანად ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს და, კერძოდ, საბჭოთა საქართველოს მშრომელები.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მონდომების მეოხებით რესპუბლიკაში საგეგმოსთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობა, უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის პროგრესული დარგები, კერძოდ, მანქანათმშენებლობა, საექსპლოატაციოდ გადაეცა საწარმოო, საცხოვრებელი თუ სოციალურ-კულტურული დანიშნულების მრავალი ნაგებობა, ამოქმედდა ახალი სიმძლავრეები; წარმატებებით გაგვახარეს აგრომრეწვის მუშაკებმა, რომლებმაც ვადაზე გაანალდეს წლიური დავალებები; ლენინური, სახელმწიფო და სხვა პრემიებით, სამშობლოს ჯილდოებით აღინიშნა ხელოვნებისა და კულტურის დარგების წარმომადგენელთა ნამუშევრები, მოღვაწეობა...

დიახ, წარმატებები და მიღწევები მართლაც გვაქვს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. „დამდგე წელს, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მიმართვაში, — უნდა დავლაშქროთ კიდევ მეტი მაღალი მიზნები ეკონომიკაში, განვახორციელოთ საწარმოოთა ფართო მასშტაბის გადასვლა მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, მკვეთრად გავუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებში. კარგად ვიცით — ჩვენს საქმეს სხვა არავინ გააკეთებს, არავინ გადაგვწყვეტს ჩვენს ამოცანებს, ჩვენს პრობლემებს, ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უსათუოდ უნდა მოუმატოს მუშაობას, საფუძვლიანად მოუმატოს. მხოლოდ ასე შეეძლებთ უზრუნველყოთ დაჩქარება და მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი“.

დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად საქმიანობის უთუო გაუმჯობესება-გარდაქმნის, პასუხისმგებლობის გაძლიერების, უკეთ შუამავლობათა მოძიებულობის გაზრდის სწორედ ამგვარი სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული ახალი წლისწინა შეხვედრაც, რომელიც 1986 წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას და იმ ამოცანებს მიეძღვნა, რომელნიც რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას მეთორმეტე ხუთწლედის მიმდინარე, საიუბილეო წელს.

შეხვედრაზე, რომელიც მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის გარჯის შემდგომი გააქტიურების კონკრეტული გზებისა და საშუალებების ძიების ნიშნით წარიმართა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებებს და პრობლემებს. საგანგებოდ ითქვა, რომ შარშან ყველას არ გამოუტანია სათანადო დასკვნები დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების საქმიანობიდან, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ მიენიჭა საჭირო დინამიზმი გარდაქმნის, წარმატებული შუამობის ამ ერთ-ერთ უმთავრეს წანამძღვარს, და სხვ.

აღნიშნული ნაკლოვანებების უთუო, თანაც ობიერატიული გამოსწორება აუცილებელი და მეტად საშური საქმე, პარტიული ორგანიზაციების. შრომითი კოლექტივების ღირსების საქმეა, რადგან წლეულს მათ წინაშე შარშანდელზე ბევრად რთული და საპატიო ამოცანები დგას. რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლევანდელი გეგმის მიხედვით, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ დაამტკიცა, მთავარი ამოცანაა ეკონომიკის განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზებზე გადასვლის და შექმნილი საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის უკეთ გამოყენების საფუძველზე წარმოების განუხრელი ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევა. მარშანდელთან შედარებით წლეულს 3,7 პროცენტით უნდა გაიზარდოს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, 4,5 პროცენტით — შრომის ნაყოფიერება, 20,6 პროცენტით — უმაღლესი კატეგორიის საქონლის ხვედრითი წილი, 5,1 პროცენტით — ფონდაღჭურვა, 9 პროცენტითა და მეტად — ელექტროენერგიის გამომუშავება, 4,1 პროცენტით — სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, მნიშვნელოვანი დადებითი ძვრების მიღწევაა დასახული აგრომრეწვის სისტემაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროში, ჯანდაცვაში, შრომის ანაზღაურებაში და სხვა.

მაგრამ მაინც წლეულს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა პროდუქციის და, საერთოდ, მუშაობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. წლევანდელი პირველი იანვრიდან, როგორც ცნობილია, ოცდაორი სამრეწველო საწარმო მუშაობს ახალი წესით — მათი მშრომელების ნახელავს სახმილება ჩაიბარებს. ეს, ცხადია, განუზომლად ზრდის იქაური, და არა მარტო მათი, პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობას — წარმოების სფერო ხომ ერთი მთლიანი ჯაჭვია, რომლის ყოველი რგოლი, თუ საბოლოო წარმატება გვსურს, გამართულად და შეუფერხებლად უნდა ფუნქციონირებდეს.

ასეთი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის კი, რა თქმა უნდა, ახალი წლის პირველი დღეებიდან საჭიროა თითოეულისა და ყველას განსაკუთრებული აქტიურობა, პასუხისმგებლობა, მონდომება, მაძიებელური, შემოქმედებითი გარჯა. სწორედ რომ, პირველი დღეებიდანვე, რადგან, იმიტომ, თუ რამდენად კარგ საფუძველს შეექმნით ამთავითვე, მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული მიმდინარე საიუბილეო წლის საბოლოო შედეგები. ასე ირჯებიან, კერძოდ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელები, რომლის მარტვნის საამქროში ახალი წლის პირველ დღესვე ძირითადად ჩქარსნული დნობის ხარჯზე დამზადდა 200 ტონაზე მეტი დამატებითი ხარისხოვანი სხმული. ასევე რიტმულად დაიწყეს წლევანდელი წელი „საქსამთოიქმრწვის“ მრავალდარგოვანი გაერთიანების, თბილისის ელმავალმშენებელი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების და სხვათა კოლექტივებმა.

კარგი დასაწყისი კი, ერთი ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს, მართლაც საქმის ნახევარია. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ყოველდღიური დაძაბული შუამობა, ინიციატივა, ძიება, რათა სრულად განხორციელდეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები, პარტიის გრანდიოზული წინასწარდასახულობანი. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ყველგან საქმით განხორციელდეს საბჭოთის კომუნისტთა XXVII ფორუმის მონაწილე თბილისელი შუშების ინიციატივა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეოდ შესრულების შესახებ. უფრო მტკიცედ და ენერგიულად უნდა დავამკვიდროთ მეურნეობრიობის მექანიზმის გარდაქმნისა და მართვის ახალი სისტემა, მეტი ვიღაცაწოთ წარმოების ინტენსიური განვითარების რელსებზე გადაყვანის, თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით მისი აღჭურვის, მრავალცვლიანი შუამობის, შრომის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისათვის.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იქ, სადაც სათანადოდ ზრუნავენ საამისოდ, სისტემატურად ეძებენ წარმატებათა მოპოვების საშუალებებს, ამოქმედებენ რეზერვებს, შედეგიც კარგი აქვთ. ამ მხრივ მოსაწონია, მაგალითად, „საქმონოლითმშენის“ სამმართველოს კოლექტივის საქმიანობა, რომელმაც საკუთარი მობილური ბეტონის ქარხნების გამოყენებით გამორიცხა პანელებისაგან სახლების დამონტაჟების საჭიროება. ეს კი, გარდა იმისა, რომ გვარაინ მოგებას იძლევა, გამოირჩევა დიდი ეკონომიურობით — ყოველი კუბადრატული მეტრი საცხოვრებელი. ფართობი გაიცემაში იაფი ჯდება, ვიდრე კარკასულ-პანელიანი სახლთმშენებლობის დროს, შესაძლებელს ხდის ერთმანეთისაგან განსხვავებული სახლების პრაქტიკულად ყოველ ადგილზე მშენებლობას და მთებით შემორაგული თბილისის „ქალაქმშენებლობის ბრუნვაში“ ისეთი ტერიტორიების მოქცევას, რომლებზეც უკვე დიდი ხანია ხელი ჩაიქნიეს არქიტექტორებმა და მეგეშავებმა.

ყოველდღიური ძიება, ინიციატივა ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ელემენტი უნდა იყოს. მაგრამ პარტიულ კომიტეტებს, პირველად პარტორგანიზაციებს ამ დროს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ერთი არსებითი მომენტი: ზოგჯერ ექსპერიმენტატორები, აქაოდა ძიების პროცესში ვართო, სხვებისაგან გამუდმებით მოითხოვენ ყურადღებას, უპირატეს ხელშეწყობას, საქმიან უკუგებას კი აგვიანებენ. ყოველი ექსპერიმენტი მხოლოდ საქმის ოპერატიულ წინსვლას უნდა ემსახურებოდეს. ყოველ წამოწყებას, სიტყვას აუცილებლად უნდა მოსდევდეს კონკრეტული საქმე, რადგან სიტყვისა და საქმის დაცილება, როგორც ეს სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, აუფასურებს იდეოლოგიურ ძალისხმევას.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის, საწარმოებისა და დაწესებულებების პირველადმა პარტორგანიზაციებმა და მშრომელებმა უნდა შეისწავლონ და თავიანთთან დანერგონ ლენინგრადის სამრეწველო საწარმოთა, ბელორუს მშენებელთა და რკინიგზელთა, ვოლგის ავტომობილების საწარმოო და სუმის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილება, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. დღენიადაგ პარტორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სანიშნო წესრიგის დამყარების, მომკითხველობის გაძლიერების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მისი საჯაროობისა და შედეგების შესადარისობის უზრუნველყოფა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, უშრომელი შემოსავლის, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, ქაღალდომანიის, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

„ინიციატივა და პასუხისმგებლობა, კრიტიკა და საჯაროობა. დემოკრატია და დისციპლინა — აი, ჩვენი პოლიტიკური და ზნეობრივი პოზიცია, სოციალისტური წყობილების განვითარების ეფექტიანი საშუალება“ — ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ სალახალწლოდ ნათქვამი ეს სიტყვები ამთავითვე ყოველი პარტიული კომიტეტის, შრომითი კოლექტივის, თითოეული ჩვენგანის საქმიანობის ორიენტირი უნდა გახდეს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ პირველი დღეებიდანვე მუყაითი, პასუხისმგებლური გარჯით საიმედო საფუძველი ჩავუყაროთ მიმდინარე საიუბილეო წლის გეგმების შესრულებას, რაც საგრძნობლად დაგვეხმარება იმაში, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც შეიტანონ თავიანთი წვლილი პარტიის გადაწყვეტილებათა უთუო ხორცშესხმაში.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

# ნ. ი. რიჟკოვის პასუხი

### საკდესის კორესპონდენტის კითხვებზე

**კითხვა.** 1986 წლის ივნისში თქვენ წერილი გაუგზავნეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კოსმოსში გამაღლებული შეიარაღების თავიდან აცილებასა და მის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საკითხზე. ამ წერილში ჩამოყალიბებულია მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენებისთვის საწყლმწიფოთა ერთობლივი პრაქტიკული მოქმედების სამეტაპიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნას. რა მნიშვნელობა აქვს ამ პროგრამას და რა უშუალო წვლილს შეტანას აპირებს საბჭოთა კავშირი მის რეალიზაციაში?

**პასუხი.** ჩვენი პროგრამა — ეს არის მოწოდება თანამშრომლობისათვის, რომელიც მიმართულია უკლებლივ ყველა სახელმწიფოსადმი. მას საფუძვლად უძევს ღრმა რწმენა, რომ კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში ფართო მასშტაბის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება კოსმოსში გამალებული შეიარაღების გავრცელების ავბედითი გეგმების კონსტრუქციული ალტერნატივაა. ჩვენი პროგრამის განმსაზღვაველი თავისებურებაა მასშტაბურობა, მატერიალური სისავე, ის, რომ კონკრეტულ ვადებში ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი რეალისტურობა.

პროგრამა მიზნად ისახავს, რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ გააერთიანოს ძალები კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში. ამასთან ეს გაერთიანება უნდა ხდებოდეს სამართლიან, თანასწორუფლებიან საფუძველზე კოსმოსური ტექნიკის თანამედროვე განვითარებისა და ამ დარგში პერსპექტივების, აგრეთვე თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოთა რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

სწორედ ასეთი მიდგომით არის გამსჭვალული მ. ს. გორბაჩოვის მიერ ინდოეთის პარლამენტში გამოსვლისას წამოყენებული წინადადება იმის შესახებ, რომ წამყვანი კოსმოსური სახელმწიფოების დახმარებით შეიქმნას საერთაშორისო ცენტრი ერთობლივი კვლევისა და განვითარებადი ქვეყნების შეკვეთებით კოსმოსური ტექნიკის ნიმუშების შემუშავებისათვის, რომელთანაც ამოქმედებს ამ ქვეყნების სპეციალისტებს, მათ შორის კოსმონავტების მოსამზადებელი სკოლა, აგრეთვე პოლიგონი კოსმოსური ობიექტების გაშვებისათვის. ველით, რომ ამ წინადადებას გულისყურით შეისწავლის ყველა დაინტერესებული ქვეყანა. მისი განხორციელება შეიძლება „ვარსკვლავეთის ომი“ [illegible] ეთვე საბჭოთა თანამგზავრებზე და კოსმოსურ სადგურებში უცხოური ხელსაწყოების დადგმას. ამ დარგში ფართო შესაძლებლობებს სახავს კოსმოსური სადგური „მირი“. ახალი საბჭოთა სადგური აღჭურვილია, როგორც ცნობილია, იქვსი შესაპირაპირებელი კვანძით. ეს ნიშნავს, რომ ახლო მომავალში მას შეიძლება შეუპირაპირდეს ხუთამდე ორბიტული მოდული, თითოეული 21 ტონამდე მასით. ისინი გახდება თავისებური სპეციალიზებული სამეცნიერო ლაბორატორიები ან საწარმოო საამქროები ორბიტაზე.

**კითხვა.** ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ უცხოეთის კოსმოსური აპარატების გაშვება მოხდება კომერციული პირობებით. ამასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ ზოგჯერ ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობდეს ანგარებითი მიზნით ისარგებლოს დასავლეთის ქვეყნების კოსმოსურ პროგრამებში წამოჭრილი გარკვეული სიძნელეებით და, უბრალოდ რომ ვთქვათ, სარგებელი ნახოს ამ სიძნელეებით. ზოგი ამასაც კი ამბობს, საბჭოთა კავშირი აპირებს უცხოეთის კოსმოსური აპარატების გაშვება დასავლეთის ტექნოლოგიის საიდუმლოებათა შეტყობის საშუალად გამოიყენოსო, საზღვარგარეთიდან სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიტანილი თანამგზავრი საერთოდ აღარ ეკუთვნის მის დამამზადებელსო. რა შეგიძლიათ თქვათ ამის თაობაზე?

**პასუხი.** სხვის შეცდომებსა და წარუმატებლობაზე ხელის მოთბობა წესად არა გვაქვს. საბჭოთა მატარებლებით უცხოეთის კოსმოსური ობიექტების გაშვების შესახებ ჩვენს წინადადებას საფუძვლად უძევს მისწრაფება წინ წავწიოთ კოსმოსის ათვისების საქმე და ამ მიზნით ეფექტიანად გამოვიყენოთ საბჭოთა სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკა, რომელსაც არაერთგზის გამოუვლენია ჩინებული თვისებები და საიმედოობა.

რა თქმა უნდა, კოსმოსური ტექნიკისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე რომ გიღიან, საბჭოთა კავშირს არ შეუძლია არ გათვალისწინოს ამ ბაზრის კანონები. ბუნებრივია, გარკვეული შემოსავლის მიღებას ვეპირებთ. ამასთან ვეცდებით, რომ გაშვების ბირობები იყოს ორმხრივად ხელსაყრელი — ჩვენთვისაც და შემკვეთისთვისაც. ორბიტაზე განვითარებადი ქვეყნებისათვის კოსმოსური აპარატების გაყვანისას საბჭოთა კავშირი მზად არის არსებითი შეღავათები მისცეს მათ. საბჭოთა საფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სასარგებლო ტვირთის დაზღვევაც იკისრონ.

რაც შეეხება მტკიცებას, თითქოს ჩვენ დამოკიდებული ვიყოთ უცხოეთის ტექნიკაზე, რომლის გამოსახულების მისაღებად, აგრეთვე რადიომეტრიულ აპარატურებს დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში შეშფოთება გამოსხივებათა ნაკადების უწყვეტი დაკვირვებისათვის, აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდოსაზომი კომპლექსი მართავს თანამგზავრს.

ინფორმაციას თანამგზავრიდან იღებენ სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრი დამუშავებისა და გამოყენებისათვის.

## დაიწყო გამოცდები...

**სტუდენტებს** დაძაბული პერიოდი აქვთ — მიმდინარეობს ზამთრის საგამოცდო სესია. აფასებენ ნახევარი წლის მანძილზე მომავალი ინჟინრებისა და ფილოლოგების, მედიკოსებისა და პედაგოგების, აგრონომების და ფიზიკოსების მიერ შეძენილ ცოდნას.

**სურათებზე:** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. გამოცდებს აბარებენ ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები მ. კეკაშვილი, გ. აგაროონოვა, ბ. ვართანიანი და გ. ელმაიტა (იორდანია); როგორ გაართვეს თავი სტუდენტებმა გამოთვლით ტექნიკასთან დაკავშირებულ დავალებებს? მარჯვნივ — დოცენტი ო. დავითაშვილი.

**ბ. ბამბულოვის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## მიფრინავს „მეტეორ-2“

**1987 წლის** 5 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორ-2“.

თანამგზავრზე დადგმულია კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ აპარატურას, როგორც დახსომების რეჟიმით, ისე უშუალო გადაცემის რეჟიმით სპექტრის ხილულ და ინფრაწითელ დიაპაზონებში ღრუბლიანობასა და ქვეფენილი ზედაპირის გლობალური გამოსახულების მისაღებად, აგრეთვე რადიომეტრიულ აპარატურებს დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში შემოწევი გამოსხივებათა ნაკადების უწყვეტი დაკვირვებისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდოსაზომი კომპლექსი მართავს თანამგზავრს.


## ეს საკი ეკუთვნი

**გუშინწინ გაზეთი „პრავდა“ იტყობინებოდა: „ატლანტის ოკეანეში აფრიკის სანაპიროებთან ძლიერ შტორმიან ამინდში ძლივს მიიკვლევდა გზას საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მადანმზიდი „გიორგი ლეონიძე“.**

**მეზღვაურებმა შუა ზღვაში აბობოქრებუდ ტალღებზე შეამჩნიეს ნავი, რომელიდანაც უბედურების სიგნალებს იძლეოდნენ. გადაწყდა შეეცვალათ კურსი. ურთულესი შტორმული პირობების მიუხედავად, მაღე ნავიდან გემზე აიყვანეს უბედურებაში ჩავარდნილი 14 კაცი. ესენი იყვნენ პანამის თმმოვანის „ედელს“ ეკიპაჟის წევრები, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე კატასტროფა მოსვლოდა. საბჭოთა მეზღვაურებმა საჭირო დახმარება გაუწიეს დაზარალებულთ და ერთ დღეში სენეგალის ნავსადგურში მიიყვანეს ისინი“.**

▼▼

**თბილისის გედანის რაიონში მოკლე ხანში აიგო ახალი ექსპერიმენტული საცხოვრებელი მიკრორაიონი, რომელსაც არქიტექტორებმა და მშენებლებმა აღერსიანი სახელი „ვედანური“ შეარქვეს. ახალი მიკრორაიონი შედგება 9 და 14-სართულიანი კორპუსებისაგან, რომელშიც ათი ათას კაცს დაიტევენ.**

**ახალი მიკრორაიონი სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ დამპროექტებლებმა (არქიტექტორი — თ. ბოჭორიშვილი) კორპუსებთან გათვალისწინეს კეთილმოწყობილი ეზო მიკროსპორტული კომპლექსით, თეატრონით, ბავშვთა სათამაშო მოედნით, სასეირნო ბილიკებითა და ყვავილნარით.**

**„ვედანურას“ მშენებლები და კეთილმოწყობნი არიან „მთავართბილისმშენის“ № 1, 2, 4, 5 სახელოსაშენებელი კომბინატები და თბილისმშენის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო.**

**სულ მაღე აქ ახალმოსახლეობას იზეიმებენ.**

▼▼

**ქალაქ ცხაკაიაში ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ვადაზე ორი თვით ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ ადგილობრივმა აგრომშენებლებმა. აქ ახალმოსახლეობას იზეიმებენ რკინაბეტონის კონსტრუქციათა ადგილობრივი ქარხნის მშრომელები.**

**გაზაფხულზე კიდევ ორი ასეთი სახლი შეემატება ქალაქს სამრეწველო საწარმოთა მშრომელებისათვის.**

▼▼

**ზესტაფონს ავტოსადგურის ორსართულიანი შენობა შეემატა. ავტოსადგურს აქვს ბილეთების გასაყიდი საღამოები, მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ცნობათა ბიური, ბარგის შესანახი კამერები და სხვა დამხმარე ნაგებობანი.**

▼▼

**თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში საახალწლოდ 120-ადგილიანი ბაგა-ბაღის ახალი შენობა გაიხსნა.**

▼▼

**შეჯამდა სამხედრო-პატრიოტული და პოლიტიკური სიმღერების კონკურსი, რომელიც საქართველოს მუსიკოლოგიურ-ფოლკლორისტთა საზოგადოებამ გამოაცხადა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად.**

**ორი მესამე პრემია მიენიჭათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს შოთა მიღორავას, პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსზე შექმნილი საუნდო სიმღერისათვის „საქართველოს საღეგრძელო“ და რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შალვა დავიდოვს პოეტ ვახტანგ გოგოლაშვილის ლექსზე შექმნილი სოლო სიმღერისათვის „საბჭოთის მზეჭაბუკი“.**

▼▼

**მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა „ფრინველების საქორწინო ცეკვები“. პიესის ავტორია ახალგაზრდა მწერალი თ. აბულაშვილი, რომლის რამდენიმე პიესა უკვე დაიდგა რესპუბლიკის თეატრებში.**

**ახალი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ო. კუტალაძე.**


## კინოდოკუმენტი რეიკიავიკის შეხვედრის შესახებ

„ძველი დიალოგი რეიკიავიკში“ ასე ეწოდება დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის კინემატოგრაფისტთა ახალ ნამუშევარს, რომლის პრემიერა ცენტრალური ტელევიზიით 5 იანვარს გაიმართა.

ფილმი ასახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მოლაპარაკებისა და საუბრების მიმდინარეობას, საბჭოთა ხელმძღვანელის პრესკონფერენციას შეზვედრის დამთავრების შემდეგ.

ფილმი დამაჯერებლად მოწმობს იმას, რომ ჩვენს ქვეყანას გადაწყვეტილი აქვს ეძებოს ბირთვული გამოცდების შეწყვეტის, ბირთვული იარაღის შემცირებისა და სრული ბოსპობის, თანასწორობისა და საყოველთაო უშიშროების პრინციპებზე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების გზები. (საკდესი).


გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ხუდონჰესის ჯერიც დგება

**ნ. შარტავა — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი:**

— მშენებლობაზეც მიმდინარეობს პროდუქციის სახელმწიფოსათვის ჩაბარების პროცესი. ჩვენი პროდუქცია იქნება ყოველმხრივ დამთავრებული ენგურის ჰიდროელექტროსადგური — მთელი მისი მასშტაბურობით, სიდიადითა და უნიკალობით. ყველაზე უფრო ჩვენ, მშენებლები, გვრძნობთ ენგურჰესის ჩაბარების გაჭიანურებას. კარგად გვაქვს შეგნებული, რომ თაღოვანი კაშხალის სამაღლის საპრიქტო ნიშნულამდე აყვანის, ჯვარის წყალსატევში წყლის მარგის შეგსებისა და სხვა სამუშაოების დამთავრება ის „სიათასობით დამატებით კილოვატი ელექტროენერგიაა, რომელიც ესოდენ სჭირდება ქვეყნის სახალხო მეურნეობას. ყველაფერს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. მათი ჩამოთვლა და ანალიზი შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: სადერივაციო გვირაბისა და ხუთიფე ჰიდროაგრეგატის ამოქმედების შემდეგ საქმე დამთავრებულად ჩაითვალა, ყურადღება საგრძნობლად შენელდა, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

მაინც როდის აპირებენ მშენებლები ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ჩაბარებას? სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის 1986 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით ენგურჰესის მთლიანი კომპლექსი სახელმწიფო კომისიამ უნდა ჩაიბაროს 1988 წლის დამლევს. ჩვენ არ გვინდა იქვი შეიტანოთ კომპეტენტური ორგანოს ვადის რეალობაში, მაგრამ ტრადიციად დამკვიდრებული „გადადება“ და ამ-



დონის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ჰიდროაგრეგატების საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედის დამლეგისათვის.

ამასთან, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს 1984 წლის 14 დეკემბრის ბრძანებით ხუდონჰესის მშენებლობა მდინარე ენგურზე სისტემის სანიმუშო მშენებლობად არის გამოცხადებული.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ეპოპეის დაწყებიდან. მწყობრში ჩადგა ვარდნილი ჰესები, ჰიდროკვანძის ხუთივე აგრეგატი, რეგიონი დაამშვენა ქალაქის ტიპის დასახლებულმა უბნებმა, ფართო, მოასფალტებულმა გზებმა, რკინიგზის ახალმა სადგურებმა, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების თანამედროვე სტილით ნაგებმა ობიექტებმა.

მშენებლობა კი გრძელდება. მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს, ვინ იცის, მერამდენედ გადაიდო მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა. რა გახდა ასეთი დაუსრულებელი, როდის დამთავრდება იგი?

**ნ. შარტავა — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი:**

— მშენებლობაზეც მიმდინარეობს პროდუქციის სახელმწიფოსათვის ჩაბარების პროცესი. ჩვენი პროდუქცია იქნება ყოველმხრივ დამთავრებული ენგურის ჰიდროელექტროსადგური — მთელი მისი მასშტაბურობით, სიდიადითა და უნიკალობით. ყველაზე უფრო ჩვენ, მშენებლები, გვრძნობთ ენგურჰესის ჩაბარების გაჭიანურებას. კარგად გვაქვს შეგნებული, რომ თაღოვანი კაშხალის სამაღლის საპრიქტო ნიშნულამდე აყვანის, ჯვარის წყალსატევში წყლის მარგის შეგსებისა და სხვა სამუშაოების დამთავრება ის „სიათასობით დამატებით კილოვატი ელექტროენერგიაა, რომელიც ესოდენ სჭირდება ქვეყნის სახალხო მეურნეობას. ყველაფერს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. მათი ჩამოთვლა და ანალიზი შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: სადერივაციო გვირაბისა და ხუთიფე ჰიდროაგრეგატის ამოქმედების შემდეგ საქმე დამთავრებულად ჩაითვალა, ყურადღება საგრძნობლად შენელდა, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

ეს ისეთი სამუშაოებია, რომლებიც განსაკუთრებული სიფაქიზეს, ზუსტ ტექნიკურ გაანგარიშებას და ინჟინრული აზრის სიმაღლეს მოითხოვს. დაჩქარება აქ საჭიროა, მაგრამ აჩქარება გამორიცხულია.

უკანასკნელი მონაცემებით, 1987-1988 წლებში ენგურჰესის დასამთავრებლად 24 მილიონი მანეთის სამუშაოებია შესასრულებელი. სამინისტრომ კი მომავალი წლისათვის მშენებლებს მხოლოდ 7 მილიონი მანეთის დაფინანსება მისცა. დამამთავრებელი წლისა-



**როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ თელავის სახელმწიფო-სასწავლო სასახლეს — საწარმოო კომპლექსს ენგურ-ხიდროელექტროსადგურის ტურბინების საქარხანოში სტუმრად მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარე, საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ვიცე-პრეზიდენტი მ. ტრუნოვი. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და რესპუბლიკის ეკონომიკის სამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი.**

**სტუმრები გაეცნენ კომპლექსს. მ. ტრუნოვმა მაღალი შეფასება მისცა კომპლექსის საქმიანობას და განაცხადა, რომ მისი დადებითი გამოცდილება იმსახურებს განზოგადებასა და გავრცელებას არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც.**

**ამ წერილში მკითხველს მოვუთხრობთ იმ ენთუზიაზმისა და დიდი საქმის კეთების ხერვილზე, რითაც გამსჭვალულია კომპლექსის მთელი კოლექტივი.**

**ძველმა** ქართლისაკენ მიმავალ გზაზე, თელეთს რომ გასცდებით, მარცხნივ თქვენს ყურადღებას მიიქცევს ვრცელი არქიტექტურული ნაგებობანი, რამდენიმე წელია აქ ბინა დაიდო საწარმოო კომპლექსმა, რომელშიც შედის საზეიმო სასახლე დამხმარე მეურნეობითურთ. ხშირად გვსმენია ამ დამხმარე მეურნეობის ქება და დადაგწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა იგი. მეგზურობა კომპლექსის დირექტორმა გიორგი ნაცვალაძემ გაგვიწია.

თეთრ ქათქათა შენობაში სასახლეში მერიდეკეობის ფერმაა, აქ სანიმუშო სისუფთავეა. დაყრილებულია ირგვლივ ყველაფერი. ველის წითელი ჯიშის დიდრონი ძროხები საუკეთესოდ არიან მოვლილი. საკვები, მათ შორის თივა, სილოსი, სენაჟი უხვად აქვთ. თითოეულ ძროხაზე საშუალოდ 30 საკვები ერთეული მოიპარაგეს საგეგმო 18-ის ნაცვლად. სახმაროდ ცალკეა მოთავსებული, სასუქებელი მოედანიც. ამ უკანასკნელში 18 თვის დიკეულები და მოზვრები გადაჰყავთ, რომლებიც სანაშენედ დაწურებელია, აგრეთვე ბებერი ძროხები, რომლებსაც ახალგაზრდებით ცვლიან. ფერმაში წველა და ნაკელის გატანა მექანიზებულია.

მთელ ამ ფერმას სამი კაცი ემსახურება ვ. სულხანიშვილი, ა. აფრიამოვი და კ. ნაზოლბანოვი. თითოეული ძროხის წველადობამ 1986 წელს 3 ათას კილოგრამს გადაჭარბა. საშუალოდ თითო ძროხაზე თითო ხბოს იღებენ. უნებლიეთ იბადება კითხვა — სად მიაქვთ ეოწველილი რძე? ამაზე პასუხს ვეტერინარი იაკობ ხელაძე იძლევა:

— ვამზადებთ კარაქს და ვიყენებთ ტკბილეულის დასამზადებლად. ჩვენი წარმოების ნახევარ ნამცხვარს კი სწრაფად იტაცებენ სავაჭრო ქსელში. მაგალითად ნამცხვარ „ჩიტის რძეს“ ბადალი არ მოეძებნება. დარჩენილი დოთი კი ხბორების და გოჩებს ვაკვებავთ. ისინი სწრაფად იმატებენ წონაში. ამიტომაც არის, რომ შარშან საქონლისა და ღორის წონამატობამ 15 ათას კილოგრამს მიაღწია. ეს საგეგმოზე თითქმის ოცჯერ მეტია.

მეღორეობის ფერმაც სანიმუშოა. ამჟამად 170 ღორი ჰყავთ, რომელსაც ჩქარონსული მეთოდით ასუქებენ. არც მეღორეთა შტატებია აქ გაბერილი. ერთი მოძველელი ლუბა მაისურაძე ადვილად უთავდება საქმეს. აქ წესად არის შემოღებული: საქონელს მანამდე არ დაკლავენ, სანამ 320 კილოგრამი მაინც არ გახდება, ხოლო დასაკლავი ღორის წონამ 100 კილოგრამს უნდა გადაჭარბოს. ყოველივე ეს ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ცენტნერი ხორცი იმაზე ორჯერ ნაკლები უჯდებათ, რამდენიც გეგმით უნდა ჯდებოდეს. ახალი ხორცი სავსებით აკმაყოფილებს საზეიმო სასახლეს და სასაუზმეს, მისგან მზადდება აგრეთვე ჩინებული ხარისხის ძეხვი და ჩოსისი. ღორის თავ-ფეხისაგან მტკიცეულ ამზადებენ, მალე ძვალსაც დაფქვავენ, რომელიც ფრინველის საკვებისათვის აუცილებელი მინარევია. ერთი სიტყვით, შექმნილია უნარჩენო წარმოება. ნაკელი რა არის, იმასაც ყირიათინად ეკიდებიან: აგროვებენ ნაკელსაკავში და ხელსაყრელ ფასად აწვდიან საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მებაღეებს და კერძო პირებს. შარშან მარტო კუმისის საბჭოთა მეურნეობამ 300 ტონა ნაკელი შეისყიდა.

საკუთარი ინკუბატორიც მოქმედებს, რომელიც ერთდროულად 4,5 ათას კვერცხს იტევს. მოსახლეობას ერთი წლის მანძილზე 600 ათასი ბროილერის წიწილი მიეყიდა. მარტო ინკუბატორმა 20 ათასი მანეთის წმინდა მოგება მისცა კომპლექსს. კმაყოფილია მომხმარებელიც. აქ უკვე წიწილების გამოზრდასაც შეუდგნენ. ექსპერიმენტმა საესებით გამამართლა — 2500 წიწილიდან მხოლოდ 190 დაიხოცა. გამოზრდილ წიწილებსაც საზეიმო სასახლეში იყენებენ. იგი მომხმარებელს შედარებით იაფი უჯდება და ხარისხიც საუკეთესო აქვს.

საკვებს სადღა შოულობენო? — იკითხავთ. კომპლექსის თანამშრომლებმა 50 ტონა თივა შაბათობათა დროს დაამზადეს გზის პირებში, ქარსაცავებსა და ტყეების ზოლში, 200 ტონა — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნითი ოპერაციების სახით შემოზიდეს და საკმაოდ იაფიც დაუჯდათ. სიმინდი და ქერი მოჰყვება, მაგრამ არ ჰყოფნით. კომპლექსის ხელმძღვანელებმა აღძრეს საკითხი, რომ რამდენიმე ჰექტარი მიწა გამოუყონ. თუ საკვები და მარცვლეული საკუთრივ აწარმოეს, საქმე კიდევ უკეთ წაუვათ. საკვების შემზადების ფასი კი აქ ნამდვილად იცით. კომპლექსის წინსწილი 6 ტონა საკვებს ფქვავს საათში.

კომპლექსი 1986 წელს დაგეგმილი იყო 830 ათასი მანეთი მოგებით, მაგრამ მილიონ მანეთს მიაღწია, რაც ბევრად აჭარბებს შარშანწინდელ დონესაც. აქედან საგეგმო 49 ათასი მანეთის ნაცვლად წმინდა მოგებამ 80 ათასი მანეთს გადააჭარბა. შემდგომში კომპლექსსა კიდევ უფრო გაშლის მხრებს. მიმდინარე წელს, მაგალითად, გათვალისწინებულია აიგოს 250 კვადრატული მეტრი საწყობი, სადაც ყოველ კვარტალში ათასი ფრთა ბროილერი გამოზრდება.

აიგება 30 ქუბისთვის გათვალისწინებული საღორე, აგრეთვე 600 კვადრატული მეტრი სათბური, რათა კომპლექსს საკუთარი კიტრი, პამიდორი და ბოსტნეული ჰქონდეს ზამთარში და ადრე გაზაფხულზე. აშენდება ადმინისტრაციული შენობაც. მალე კომპლექსი წარმოების გაფართოების მეოხებით სამჯერ გაზრდის შემოსავალს.

ახლახან კომპლექსში ერთ კარგ თაოსნობასაც ჩაეყარა საფუძველი. ცეკავშირის გამეობამ, რომელსაც იგი ექვემდებარება, გამოუყო რეფრიჟერატორი. კოხტად მოწყობილ ვიტრინებში ლამაზად განლაგდება კომპლექსის ნაწარმი. საქაბაბე ფარში, ღვეზელი, სხვადასხვა ნამცხვარი, ტორტი, ფუნთუშეული, გლეხური ლორი, ძეხვეული, სოსისი „ივერია“ და სხვა. სულ 21 დასახელების პროდუქტი და რეფრეჟერატორი ბინაგის მიხედვით ამ პროდუქტებს გასაყიდად შეიტანს თბილისში. აქ იმედოვნებენ, რომ თავს არ შეირცხვენენ თბილისელების წინაშე, რომლებმაც პირის ფეხმ იციან.

ასეთია აქამდე თითქმის უჩინარი საწარმოო კომპლექსის, სადაც დღეები. იგი, ჭეშმარიტად, ფართო განზოგადებას იმოხვეს.

გარდაქმნის აუცილებლობა, მისი სიკეთე და მასშტაბურობა ამ პატარა კოლექტივის ღვაწლსა და შემართებაშიც კი იგრძნობა.

ამიტომაც ცნეს საჭიროდ მისი გამოცდილების ასე გამომზეურება და საკვეყნოდ გამოტანა.

**დ. ბიწაძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**



# რატომ არის ტუნგი კოლხეთის გერი?

**ტუნგის** ზეთს სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში წარმატებით იყენებენ. მისგან დამზადებული მაღალხარისხოვანი ლაქსაღებავები კარგად იტანს ძლიერ რხევას, ახასიათებს გლუვი ზედაპირი, მსუბუქია, წყალგაუმტარი, ლითონებს კოროზიისაგან კარგად იცავს. ამიტომაც მათი გამოყენება განსაკუთრებით დიდია საავიაციო, გემთსამშენებლო, ტურბო-გენერატორების, სპეციალური ელექტრომანქანების, საავტომობილო, სარკინიგზო მრეწველობის, მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკებში, ტყავგალანტერეაში, საკონსერვო მრეწველობაში და სხვაგან.

ტუნგის ზეთის გამოყენება სახალხო მეურნეობაში ერთობ დიდია. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ტუნგის წარმოების ფართო განვითარების საჭიროებას, რაც მთლიანად ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა გადაჭრას, რადგანაც ტუნგი სითბოს და ტენის მოყვარულია და მისი მოყვანა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რაიონებშია შესაძლებელი.

საქართველოში ტუნგის გაშენება დაკავშირებულია კოლექტივიზაციის მშენებლობის პეროდთან. 1939 წლისათვის 11,7 ათასი ჰექტარი ტუნგი იყო გაშენებული, ხოლო 1955 წლისათვის 13,4 ათასი ჰექტარი. 1957 წლიდან მოუელობით მისი ნარგავები 4,3 ათასი ჰექტარით შემცირდა. 80-იან წლებამდე 10 ათას ჰექტარამდე ძლივს გაიზარდა. არადა, ტუნგის გაშენება ყოველწლიურად წარმოებს. ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობების უდიდესი ნაწილი წლების განმავლობაში ვერ ასრულებს გაშენების გეგმებს. ბოლო ორ ხუთწლედში იგი რესპუბლიკაში საგეგმო 6.300 ჰექტარის ნაცვლად გაშენდა მხოლოდ 4.000 ჰექტარზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი მეურნეობები.

ტუნგი შრომატევად კულტურათა რიცხვს არ მიეკუთვნება და არც განსაკუთრებულ ნიადაგურ პირობებს მოითხოვს. განოყიერებისა და კარგად მოვლის პირობებში უხვ მოსავალს იძლევა. ამიტომ ტუნგის გაშენება შესაძლებელია კოლხეთის ახლად დაშრობილ ფართობებზე მიწის სათანადო მომზადების შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მუშაზელს უმთავრესად საჭიროებს კრეფის დროს, როდესაც ჩაის სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია და მუშახელის ნაწილობრივ გამოთავისუფლების საშუალება არის. ეს ფაქტორი კულტურებისა და დარგების ოპტიმალურ შეთანაწყობისა და მთელი წლის განმავლობაში დასაქმების და, ამდენად, ჭარბი მუშახელის ბრობლემის გადაჭრის გარანტიას იძლევა.

ტუნგის ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის ფასი საკმაოდ დიდია (კილოგრამი—მანეთი და 70 კაპიკი), რაც საზოგადოებრივ მეურნეობათა საფინანსო მდგომარეობის განმტკიცებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ტუნგის ნედლეულის გადამუშავებელი ქარხანა ქობულეთის რაიონშია და იქ ნაყოფის მიტანა მისი მომყვანი მეურნეობებისათვის არც ძნელია, არც დიდ ხარჯებს მოითხოვს.

ამის შემდეგ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს ძვირფასი კულტურა რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და საწარმოში მოკლებულია სათანადო ყურადღებასა და პატრონობას. ამიტომაა, რომ ნაყოფის გადამუშავებელი ქარხნის წლიური მწარმოებლობა 34-35 ათას ტონას არ აღემატება. წინა წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, 1985 წელს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში მხოლოდ 9,2 ათასი ტონა ნაყოფი დამზადდა. ეს მაჩვენებელი 1962 წელს დამზადებულზე 4,8 ათასი ტონით ნაკლებია. ეს იმ დროს, როცა იმავე წელს ტუნგის ფართობი 10,6 ათასი ჰექტარი იყო, ანუ 1962 წელს არსებულ ფართობზე 3,5 ათასი ჰექტარით მეტი. 1985 წელს თითოეულ ჰექტარზე 40,8 ცენტნერი ნაყოფი მოკრიფეს ცხაკაიის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, 31,1 ცენტნერი ჩხოროწყუს რაიონში, 30,7 ცენტნერი ოჩამჩირის რაიონში და ა. შ., ხოლო სოხუმის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მოსავლიანობა მხოლოდ 4,3 ცენტნერი იყო, ქობულეთის რაიონში — 6,6 ცენტნერი, მოლაანად აჭარის ასს რესპუბლიკაში კი 8,2 ცენტნერი, წულუკიძის რაიონში 10,4 ცენტნერი.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, მოსავლიანობის მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავებულია არა მარტო ცალკეული რაიონების, არამედ რაიონის საზღვრებს შიგნითაც კი. მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობა 3,6 ცენტნერით, ხოლო სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში 6,2 ცენტნერით ნაკლებია, ვიდრე კოლმეურნეობებში.

ეს მდგომარეობა კიდევ ერთხელ იმაზე მეტყველებს, რომ რაიონებსა და მეურნეობებში ტუნგის მოვლა-პატრონობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ნარგავებს აგროტექნიკური ღონისძიებების მიხედვით არ უვლიან და ბუნების წყალობაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ კი მიღებულ ნაყოფსაც არ კრეფენ, ან ძალზე დაგვიანებით კრეფენ, რაც ხარისხს ერთობ აუარესებს, ეს იწვევს ნაყოფში ზეთის გამოსავლიანობის მკვეთრ შემცირებას, თვითღირებულების მომატებას.

ტუნგის წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმდენად უხეირია, რომ ზოგჯერ შეუძლებელი ხდება მისი მოკრეფა და გაშრობაც კი, რაც როდენობასა და ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას, არ მიმდინარეობს საჭირო სასელექციო მუშაობა მაღალმოსავლიანი და ადგილობრივ პირობებს შეგუებული ჯიშების გამოსაყვანად. არადამაკმაყოფილებელია ალრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა. წლიური ანგარიშების ფორმებშიც კი არ არის ტუნგის კულტურა შეტანილი, რაც ყოველგვარი დარღვევა-დამახინჯების პირობებს ქმნის.

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ზეთსახდელი ქარხნის ტექნიკური მდგომარეობა. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვში“ იგი ნაძალადევ კულტურად ითვლება და ყურადღებაც მინიმალურია. უფრო მეტიც, ბოლო წლებში დამკვიდრდა ტუნგის წარმოებისა და ზეთის გამოსავლიანობის შემცირებისა და პროდუქციის თვითღირებულების მატების მავნე პრაქტიკა. გაბერილია რაიონებში ნაყოფის დამამზადებელი საწარმოების შტატები, ეს კი მძიმე ტვირთად აწვება პროდუქციის თვითღირებულებას.

ტუნგის კულტურის განვითარების, მისი წარმოების შემდგომი გაფართოების და იმპორტის შემცირებისათვის, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება, ტუნგი შევიდეს საქსაბაგრომრეწვის დაქვემდებარებაში, როგორც ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები, რადგანაც მას ძირითადად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აწარმოებენ; უნდა დაიხვეწოს რაიონების დამამზადებელი პუნქტების აპარატის სტრუქტურა და მკვეთრად გაუმჯობესდეს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნდა შეიქმნას ტუნგის სპეციალიზებული სანერგე-სასელექციო მეურნეობა, აშენდეს საჭირო რაოდენობის ახალი ტექნიკით აღჭურვილი საშრობი ფარდულები, განახლდეს ოჩამჩირის ზეთის საზდელი ქარხანა ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებით; რადიკალური ზომები უნდა განხორციელდეს ტუნგის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების ოპტიმალურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დახვეწა-გაუმჯობესებისათვის, კოლეზეთის დაშრობისა და ათვისების გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტუნგის მწარმოებელი სპეციალური მეურნეობების შექმნა.

**ნ. ჭინჭარაული,**
**საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**გადამარბებით შესრულა ხუთწლედის პირველი წლის მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობების ქარხანამ. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 120 ათასი მანეთის პროდუქცია.**

**დამკვრელურად დაიწყო 1987 წლის პირველი დღეები მექანიკური საამქროს ხარატმა, კომუნისტმა გივი ბარამიძემ. იგი 17 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც აქ დაიწყო მუშაობა, და აი, უკვე 38 წელი გავიდა მას შემდეგ. რაიონული საბჭოს დეპუტატი, პარტიის ოქტომბრის რაიკომის სარეციზიო კომისიის წევრი, შრომის წითელი დროშისა და მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსანი მ. ბარამიძე გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ უწუნო ხარისხის პროდუქციას უშვებს.**

**სურათზე: გ. ბარამიძე მუშაობისას.**

**ვ. ვენგიერის ფოტო.**

# დეპუტატთა ჯგუფების თაოსნობით

**ბაბჯოები მუშაობენ**

**თერჯოლის** რაიონის ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა იგებოდა. ტემპი დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ მშენებლებმა ხარისხს ვერ გაართვეს თავი. დეპუტატთა ჯგუფმა, რომელიც აქ ტერიტორიული ნაწილის მიხედვით არის შექმნილი, ყოველივე ეს თავისი თვალთახედვის არედან არ გაუშვა. მოეწყო სხდომა, რომელზეც მშენებლებიც მოიწვიეს. მათ პრეტენზიები წაუყენეს, მოსთხოვეს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გადაკეთება. მშენებლებმა თავი ვერ ამართლეს დეპუტატების წინაშე და აღუთქვეს, რომ ნაკლოვანებებს გამოასწორებდნენ. დეპუტატთა ჯგუფი მას შემდეგაც ადევნებდა თვალს მშენებლობის ხარისხს. შედეგი? ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა ახლა ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში.

ბოლო ხანს რაიონში გააქტიურდნენ დეპუტატთა ჯგუფები. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას. მაგალითად, ძევრის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი სათავეში ჩაუდგა სანავშო ბაღის შეკეთებას. საამისოდ სასოფლო საბჭომ სათანადო სახსრები გამონაზა. დეპუტატებმა პირადი მონაწილეობაც მიიღეს სამუშაოებში, ასევე ინვენტარით და სათამაშოებით საბავშვო ბაღის აღჭურვაში. სიქთარეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა სოფლის მოსახლეობას მოუწოდა თავიანთი უშუალო მონაწილეობით შეეკეთებინათ ჩხარ-ეწრის დაწყებითი სკოლის შენობა. ვინ იტყოდა ამ სასიკეთო საქმეზე უარს. ზოგი ოჯახიდან, რომელთა შვილებიც ამ სკოლაში სწავლობენ, სამუშაოდ ორი კაციც კი გამოვიდა, სკოლა უსასყიდლოდ შეაკეთეს და იგი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

რაიონული საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ჩხარის ცენტრალურ ქუჩებში დაიგო ასფალტი. კარგი თაოსნობა გამოიჩინეს რუფოთის დეპუტატთა ჯგუფის წევრებმა დეპუტატ ჯ. ზარნაძის წინამძღოლობით, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ჭანკვეტაძეების უბანში გზის შეკეთებას და შემდგომში დაინიშნა ავტობუსი. რამდენიმე სოფელში დეპუტატთა ჯგუფების უშუალო მონაწილეობით მოეწყო შინმოუსვლელთა ობელისკები და სკვერები, რაიონული საბჭოს აღმასკომის დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივით თერჯოლაში ვაჟაფშაველას ქუჩაზე გაიყვანეს ბუნებრივი გაზი, სოფელ ძევერში კი შემოიღობა სპორტული მოედანი.

დეპუტატებმა გააქტიურეს ბრძოლა აგრეთვე უმრომელი შემოსავლის, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და მუქთახორობის წინააღმდეგ. რუფოთის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა გამოავლინეს შინამრეწველი ხელოსნები, რომელთა შორის მშენებელი პ. გეწაძე დაბეგრა რაიონის საფინანსო განყოფილებამ, ხოლო ავტოშემკეთებელ გ. ზამბახიძეს ეკრძალა კერძო მუშაობა. ჭოგნარის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა გამოავლინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცების შემთხვევა. სოფელ რუფოთში დეპუტატთა ჯგუფმა გამოავლინა უმუშევარი ნ. ქოჩიაშვილი, რომელიც ჩაბეს მეურნეობის მუშაობაში. ჯგუფმა გამოავლინა აგრეთვე პირუტყვის საკვების უხარისხოდ დამზადების ფაქტი. სოფელ ქვედა სიმონეთში დეპუტატთა ჯგუფმა აღკვეთა სასუქების უყაირათოდ გამოყენების შემთხვევები და ა. შ.

თერჯოლის რაიონული საბჭოს აღმასკომი დღენიადაგ ზრუნავს დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოების, თითოეული დეპუტატის მუშაობის გაქტიურებისათვის, მათი უფლებების და შესაძლებლობების ნაყოფიერი გამოყენებისათვის, რათა ეხერგოულად დარაზმონ შრომელები 1987 წელს რაიონის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის განვითარებისათვის.

**ჯ. შარიქაძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# აფხაზეთის ჟურნალისტთა ყრილობა

**ორასზე** მეტ კაცს აერთიანებს თავის რიგებში აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირი. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნის მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში, დაუცხრომლად უწევენ პროპაგანდას აფხაზეთის მშრომელთა მიღწევებს, რომლებიც შეკავშირებული არიან საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური სოლიდარობის, ძმური მეგობრობის გრძნობით, — აღინიშნა სოხუმში გამართულ აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის VIII ყრილობაზე.

გამეობის თავმჯდომარის, გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორის ს. კვიწინაის მოხსენებაში, გამოსვლებში ითქვა, რომ გაზეთების ფურცლებზე, რადიოს და ტელევიზიის გადაცემებში გაჩნდა ახალი რუბრიკები, დაისახა შემოტრუნება აქტუალური საჭირბოროტო პრობლემების გაშუქებისადმი. ისმება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, შრომითი მეტოჭეობის ეფექტიანობის, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები.

ამავე დროს, ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ კალმის ოსტატთა შემოქმედებითს საქმიანობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ეგანური ერთფეროვნება. ზოგიერთი საქალაქო და რაიონული გაზეთები, ინფორმაციული ბიულეტენები ფურცლებს თათბირების, სხდომების, ინსტრუქციებისა და კონსულტაციების დაწვრილებითი ანგარიშებით, პრესის სხვა ორგანოებიდან გადმობეჭდილი მასალებით, ცვლის ამით ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას.

დღეს, როცა აფხაზეთის, ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მშრომელების წინაშე, დგას ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის გარდაქმნის ამოცანა, აღნიშნავდნენ ორატორები, ჟურნალისტთა მოვალეობაა პოულობდნენ და განაზოგადებდნენ ახლებურად მუშაობის გამოცდილებას, მხარს უჭერდნენ და პროპაგანდას უწევდნენ მას.

• • •

გაიმართა აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორი ს. კვიწინაი, მოდგილეებად — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორი ხ. ახალაია და აფხაზეთის სახტელერადიოს თავმჯდომარე შ. ფილია, გამგეობის მდივნად — გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ განყოფილების გამგე ა. ავიძბა.

(საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები

# მართლწესრიგის განმტკიცება გარდაქმნის შემადგენელი ნაწილია

ვ. რაზმაძე,
საქართველოს სსრ პროკურორი.

ქარების შესახებ ორგანულად არის დაკავშირებული სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან.

ყრილობის გადაწყვეტილებები კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების თაობაზე კონკრეტულად გამოიხატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ".

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ფუძემდებელი დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის ვრცელი პროგრამა. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა და პარტიული კომიტეტი უკვე შეუდგნენ პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია პროკურატურის ორგანოების მთელი საქმიანობის გარდაქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

ბოლო ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კიდევ უფრო მძაფრად და პრინციპულად გააჩინა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. თანამიმდევრულად ვახორციელებთ რა სოციალისტური კანონიერების იმ უმთავრეს პრინციპს, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია, სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მეჭრთამეობასა და სხვა ბოროტმქმედებაში მხილებული არიან მთელი რიგი დიდი თანამდებობის პირები.

მაგრამ ის, რაც გაკეთდა და კეთდება, უნდა შეფასდეს არა გუშინდელი საწყაოთი, არამედ ხვალინდელი მასშტაბებით. ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ღონისძიებებს სოციალისტური კანონიერების, ადამიანის ინტერესებისა და ეკონომიკის, ადამიანის ინტერესებისა და ეროვნული კონსოლიდაციის, ეროვნული ურთიერთობების, ეროვნული ენის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფერწერის, ეროვნული ფერადოვნების, ეროვნული ფერადოვნების, ეროვნული ფერადოვნების

## ცოცხალი ფრესკა

**კუტიკარი** ღია დამხვდა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მიხეილ მამულაშვილის ბაღში შევედი. იგი არცთუ დიდი ხნის წინათ ასი წლისა გარდაიცვალა. თითქოს რაღაც იდუმალი ხმა ჩამძახოდა „შენ გაზაფხული მოგენატრაო“.

მაინც, რამ მომიყვანა ამ წალკოტში? ძველი საოჯახო ალბომის ნახვის წყურვილმა, რომელიც საწყია მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული იმ ადამიანების ფოტოსურათებით, აქ რომ ყოფილან? რა თქმა უნდა, გარდასული დღეებს ასეც შეიძლება ეზიარო, მაგრამ ნეტავი მისი თვალები მომცა, დიახ, არა ვინმესი, არამედ, სწორედ რომ, მისი. ეს ცოცხალი თვალები, რომლებიც ნიდერლანდის დედოფალმაც კი შენიშნა, თუმცა თითქოს რა საქმე უნდა ჰქონოდა მას უბრალო მებაღესთან, რომელიც ცხრა მთას იქიდან ჩამოგიდა ტულიპების სანახავად. ვილჰელმინამ მამულაშვილს ათი ყვავილების კალათი გამოუგზავნა. ესოდენ დიდი ყურადღება ხარკი იყო შრომისა და მშვენიერების ერთგულების წინაშე. თქვენსმეტი წლისამ დაიწყო თავისი წალკოტის გაშენება, ოთხმოცდაოთხი წლის მანძილზე შვილივით უვლიდა, სიკვდილის წინ კი ანდერძად დაუბარებია, „გაუფრთხილდითო“.

— არის აქ ვინმე? — შევეხმიანე მასპინძლებს. გამოვიდა მოხუცი ქალი. გულთბილად მიმიღო. მიმიპატიჟა:

— წამობრძანდით სათბურში.

თავისი თხელი ხელი გამომიწოდა და წარმომიმძღვა:

— მე მამულაშვილის შვილი ვარ, პელიკო, — ტოტდან ორი ფორთოხალი მოწყვიტა და გამომიწოდა.

ბევრნი ეხმარებიან, რამდენადაც შეუძლიათ, მაგრამ ბაღს მაინც დასჩნევია დროის მსახვრალი ხელი. მეღუმელე დიდებულ ფრესკას ვერ დაგიხატავს, მოქანდაკე კი რიგიანად ცხენს ვერ დაგიჭედავს. ჰოდა, ვინანე, რატომ წინათ არ ვყოფილვარ-მეთქი ამ. ახლა ვხედავ: ვილჰელმინას ამ შეეძლო არ შეენიშნა ეს თვალები. შემოგვცქერიან პორტრეტიდან — ნდობით აღსავსენი, ბელისხმიერნი, იმის დამნახავნი, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია. რა კარგი იქნებოდა შესაძლებელი რომ იყოს სამუდამოდ შემოინახო ყოველივე ეს — ყვავილებისგან გაკეთებული მისი მხატვრული კომპოზიციები და მინიატიურები. მაგრამ დრო ულმობელია...

შემორჩა მხოლოდ ყვავილების მეორე სიცოცხლე. ქალაქზე დაწებებული ხმელი ყვავილები, თუმცა ისეთი ფანტაზიით გაკეთებული, რომ თითქოს კარს გიკაკუნებენ საფოსტო ღია ბარათების ნაცვლად. ქარი დათარეშობდა დაობლებულ ბაღში. და მისი თავხედობით გულდაკოდილი ვფიქრობდი: „ხომ არ შეიყუმშება გული მორცხვი მიმოზის ფურცელივით, როცა მას ხელს შეახებენ ხოლმე“. მაგრამ ხომ არის სადღაც ასეთი, განსაკუთრებული ხელები, რომელთა შეხებას ნაზი ფურცელი არ დაიმორცხვებს. და იქნებ მათ კვლავ შთაბერონ სული მამულაშვილის ფრესკას.

## ქალწულის კაბით...

**დროდადრო** იგი ჩემს თვალწინ დაჰკრის ხასხასა ფერის ქალწულის კაბით. მალე ყოველივე ეს გაქრება. ზუზუნებენ ტყვიები. მორჩა, აღარ არის გოგონა, სარძლო, ცოლი, დედა.

მან ენგელსის ქუჩაზე დილით მაგარ თბილისურ ყავაზე მიმიპატიჟა. რომ არც მცოდნოდა მისი სახლი, ფოსტალიონი მიმასწავლიდა. შეიძლება ითქვას, ქალაქის ამ უბანში არავინ არ იღებს იმდენ წერილს, რამდენსაც თამარ გოთუა.

მე მისი ძმის, მწერალ ლევან გოთუას წიგნებით გარშემორტყმული ალმოვჩნდი. ყდაზე შევნიშნე წარწერა: „ლეკი ლომისა“. იგი გულისხმობდა ჯერ კიდევ ომამდელ, სწორედ იმ თაობას, რომელიც მოსწავლის რვეულის ფურცელზე მოკლედ მოითხოვდა: „გთხოვთ ფრონტზე გამგზავნოთ“. თამარი სულ ოცდაორი წლის იყო, როცა იქმნი ომში წავიდა.

და როცა გამოცდილი ლენინგრადელი ქირურგის მ. გ. ვორობიოვის წინაშე წარსდგა, ამ უკანასკნელს აღმოხდომია:

— ღმერთო ჩემო, ეს რა საბავშვო ბაღია! ეს ბოსტანი! ეს ბალიშ-ბალიშ! ეს ბალიშ-ბალიშ! ეს ბალიშ-ბალიშ! ...

ვორობიოვმა ალბათ გაიფიქრა: „ეგ წყნარ საავადყოფოში იყო, შვილო, ახლა კი წინა ხაზის საველი ჰოსპიტალში უნდა იმუშაო!“.

ღამით დესანტს მიჰყვებოდა. „მცირე მიწაზე“. ახსოვს, ფეხებს ძლივს მითრევდა — ჩექმა რამდენიმე ნომრით დიდი ჰქონდა. ელენჯაკიდან ღამის წყვდიადში გავიდნენ, ხალხით სავსე სეინერი „რიწა“ ცხვირით მიაპობდა ტალღებს,

და უეცრად ზღვის თავზე ცაში პარაშუტებით გადმოეკიდა შუბხუნები.

— რა ლამაზია! — თავი ვერ შეიკავა თამარმა.

— დაწექი, დაწექი, სულელო!

და უეცრად ატყდა ბათქა-ბუთქი. ირგვლივ ყველაფერი იქცეოდა. გაისმა ბრძანება გადამტარაყვნენ... წყლისა და ღამის უკუნეთში. მაგრამ თამარი ხომ თმამცველი იყო და მიეჩვია ყოველი ნაბიჯი მოეზომა. ვიღაცამ სასწრაფოდ ჰკრა ხელი. ზვირთების ქაფში იღუპებოდნენ ადამიანები. ნაპირს. რომ მიაღწია, ცალი ჩექმაღა შემორჩენოდა. ჰოსპიტალი გამოქვაბულში მოაწყვეს. ჰიტლერელები სულ ახლოს იყენენ. მაშინ პირველად გაუკეთა ოპერაცია დაჭრილს ტყვიის წვიმაში.

— ის გახვრეტილი კენჭი რომ არა... ნაპირზე ვიპოვე. ჰოდა, მთელი ომის მანძილზე თილისმასავით ყელზე მეკიდა.

მაგრამ ფრონტელი ქირურგი თამარ გოთუა იმ კენჭმა კი არა, ჯარისკაცის სათუთუნემ გადაარჩინა. ...

— მე ოპერაციები გავუკეთე ავადმყოფებს...

ეს ბოსკოველი და ლენინგრადელი ტურისტები — მრავალდღიანი ლაშქრობის მონაწილეები ახალ, 1987 წელს შეხვდნენ აფხაზეთის მთებში.

ბ. სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ხელოვნება მეგობრობის დევიზით

### ამერიკავკასიის რესპუბლიკების ბავშვთა ხელოვნების ზეიმი თბილისში

**რა** ხანია დაზამთრდა, მაგრამ თითქოს ამინდმაც განსაკუთრებით გუშინ მოიწონა თავი, მზიანი თბილი დღე დაუდგათ ამერიკავკასიის რესპუბლიკების ბავშვთა ხელოვნების ზეიმის მონაწილეებს, რომლებსაც ჩვენი დედაქალაქი სამ დღეს უმასპინძლებს.

**გუშინ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში საზეიმო შეხვედრა მოეწყვეს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულ ორასზე მეტ ნორჩ სტუმარს, მათს ალმზრდელებსა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს. ეს საინტერესო ღონისძიება ნაწილია იმ კომპლექსური გეგმისა, რომელიც შეიმუშავეს სამი მოძმე რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და რომლის მიზანია 1986-1990 წლებში ამერიკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარება.**

ზეიმის მონაწილეებმა დაათვალიერეს კომკავშირული ქალაქი, გვირგვინებით შეამკეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა და ბორის ძნელაძის ძეგლები, გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ესტუმრნენ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს.

გუშინვე ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეაში გაიხსნა სამი მოძმე რესპუბლიკის ბავშვთა ნახატების გამოფენა, მუსიკისა და ცეკვის მოყვარულები შეიკრიბნენ საქალაქო ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“, ხოლო თეატრისა და კინოს მოყვარულები — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დ. ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში. ამ ღონისძიებების დროს ყმაწვილები შეხვდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

მდიდარია შემდგომი დღეების პროგრამაც.

ბ. დურგლიშვილი.

# საიუბილეო გამოშვება

**გამოჩენილ** ფსიქოლოგსა და ფილოსოფოსს დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძეს მიუძღვნა ფოსტამ მხატვრული მარკიანი კონვერტი მეცნიერის პორტრეტით.

ეს გამოშვება უკავშირდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის დაბადების 100 წლისთავს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ფსიქოლოგთა ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში, საქართველოში მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების განვითარებაში.

(საკ.ინ. კორ.).

## ნარკომანია სოციალური ბოროტებაა

**დღეს** მედიკოსებისა და სოციოლოგების მოშველიება აღარ გვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ ნარკომანობა დაძღუპველია, რომ იგი მრავალ ქვეყნისათვის ეროვნულ უბედურებად იქცა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ სენის მსხვერპლნი ხდებიან თავის ნებაზე მიმავლები, განსაკუთრებით უსაქმური ახალგაზრდები.

ათიოდე წლის წინათ ბათუმში იშვიათად თუ მოჰკრავდით ყურს ლაპარაკს ნარკომახსა და ნარკომანიაზე. ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ნარკომანი. რამდენია ისეთი, რომელიც ჯერჯერობით პასიური მომხმარებელია და მის ორგანიზმს მთლიანად არ შეუწოვია მომაკვდინებელი შხამი. სამწუხაროდ, არის ცნობები, რომ იმ შხამმა რაიოხებსა და სოფლებშიც გაჟონა. ასეთმა მდგომარეობამ შეაშფოთა საზოგადოებრიობა. პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ამ ყოვლად საშიშ სენს. საზოგადოებრიობისა და აქტივისტების დახმარებით ორგანოს მუშაკები, მილიციის ოფიცრები რ. დიასამიძე, ე. ხორავა, გ. კოხელიძე, ვ. გუსოევი, ა. ბეჟანიძე და სხვები დღე და ღამეს ასწორებენ, უდიდეს შრომას ეწევიან არა მარტო ნარკომანთა გაპოსაელენად, არამედ იმათ შესაყურობადაც, ვინც აწარმოებს თუ რესპუბლიკის გარეგან შემოაქვს კაცთა ძოდგმის მომსაბი ეს ნივთიერებანი. ოპერატიული ზომების მეოხებით, ვინ პოთვლის, რამდენი ადამიანის სიცოცხლეა გადარჩენილი. მოვიყვახოთ რამდენიმე მაგალითი.

ბათუმელი სერგო პარასოჩკა 35 წლისაა. მუშაობდა თამბაქოს ფაბრიკაში მუშად. დაქორწინდა, ოჯახიც შექმნა, ფაბრიკის კოლექტივმა ხელი გაუმართა, ბინა მისცა, გამომუშავება საშუალო ჰქონდა, ცუდად არ ცხოვრობდა. ორგანოს მუშაკებმა დაადგინეს, რომ იგი ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი ყოფილა, მერე კი დამამზადებელი და გამავრცელებელი გახდა.

შარშან, ზაფხულის მიწურულს შვებულება გაიფორმა და კრასნოდარში გაემგზავრა. ექვი რომ არ აეღოთ, ცოლ-შვილიც თან წაიყვანა. ეს ცნობილი გახდა აკარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმეტრო განყოფილების უფროსისთვის. მათ ოპერატიული გეგმა შეადგინეს და საქმესაც შეუდგნენ.

პარასოჩკა ათი დღე დარჩა კრასნოდარის მხარეში, უჩუმრად მოქმედებდა, ღამით ახერხებდა პლანტაციებში შეპარვას და მომაკვდინებელი შხამის დაგროვებას. იმდენი დააგროვა, ნაწილი მეუღლეს ამანათით გამოაგზავნინა. სექტემბერში ოჯახთან ერთად დაბრუნდა ბათუმში. კმაყოფილი ჩანდა. მშვიდობით მოაღწია სახლს. ბინაში რომ შევიდა, შვებით ამოისუნთქა. საგანგებოდ დაწებებილი ჰაშიში გასაშრობად ოთახში იატაკზე გაშალა. ამ დროს დაუკაკუნეს კარზე. მოულოდნელი სტუმრობა ცუდად ენიშნა. ხელფული ნუუცბათვად აბვეტა და როგორც მოიხელთა, ისე გადამალა. ორგანოს მუშაკების გამოჩენამ გუნება წაუხდინა, მაგრამ არ შეიმჩნია. ბინაში შეიპატიჟა. ბევრი ძებნა აღარ დასჭირვებია, ოთხი კილოგრამი ჰაშიში და ნარკოტიკების დასამზადებელი სხვა ნივთიერებები აპოვეს. შემდეგ მოსთხოვეს მეუღლის სახელზე კრასნოდარიდან გამოგზავნილი ამანათის ქვითარი. პარასოჩკა მიხვდა, რომ ორგანოს მუშაკებმა ყველაფერი იცოდნენ. სხვა რა გზა ჰქონდა, ნებას დაჰყვა. ამანათში აღმოჩნდა 271,5 გრამი სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერება.

ახლახან ბათუმის სახალხო სასამართლომ ნარკომანსა და მომაკვდინებელი ნივთიერებების გამავრცელებელ სერგო პარასოჩკას 10 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის. ცნობილია, რომ ნარკომანები უკიდურესი ეგოისტები არიან, ცდილობენ რაც შეიძლება ბევრი შეაცდინონ და ჩათრიონ ბინძურ მორეკში, გაამაბან სახიფათო ქსელში. ცოტა როდი ხდება სულმდაბალთა მსხვერპლი. ასეთ მაგალითს მოვიყვანთ. ტურისტული მატარებლებისათვის ჩაქვში რკინიგზის სტოა. ათასობით ადამიანი ჩამოდის, რომ დატკბეს ჩვენი თვალწარმტაცი ბუნებით. სტუმარს მასპინძელი გულთბადად ხვდება, შეძლებისდაგვარად მასპინძლობს. დონეცკიდან ჩამოსული ერთ-ერთი ტურისტული მატარებლის ვაგონ-რესტორნის ოფიციანტი ვლადიმერ ბრაეევსკი გაეცნო ჩაქველ ამირან ცეცხლაძეს. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ დამეგობრდნენ. რა იცოდა მაშინ ა. ცეცხლაძემ, სტუმარს რა ედო გულში. ერთხელ ბრაეევსკი ცოლთან ანა გრაშაევასთან ერთად ესტუმრა ჩაქველ მასპინძელს, ოჯახში მათთან რამდენიმე დღე დაჰყო, მათი ნდობა დაიმსახურა. ბოლოს მასპინძელს იმედენი უჩიჩინა, იმდენი უტრიალა, რომ დაიყოლია „თუნდაც ერთხელ გაესინჯა სამთოხეასვით მთორობელა წამალი“. შემდეგ კი სთხოვა რეალიზაციაში დახმარებოდა.

ბრაეევსკისა და მისი მეუღლის საეკვო სტუმრობა შეეშჩნეველი არ დარჩენიათ ორგანოს მუშაკებს. ჩხრეკისას ჩამოართვეს 1,990 გრამი ბაშხაში, ოპიუმი და შპრიცები. ბრაეევსკი თვითონ ნარკომანიც იყო, მწარმოებელიც და გამსაღებელიც. გამომძიების დროს დადგინდა, რომ ბოროტმოქმედმა, მეუღლეს რომ არ გაეცა, ძალათ გახადა იგი ნარკომანი. აპარისა და დონეცკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა ვ. ბრაეევსკის ბინაში იპოვეს დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებანი და პისტოლეტის ვაზნები.

ნარკომანობა საშიში, მომაკვდინებელი სენია.

ეფექტიანი რომ გახდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა აჭარის საზოგადოებრიობა მრავალფეროვან ღონისძიებებს ახორციელებს: ეწყობა საუბრები, კრებები, მედიკოსის მუშაკებთან შეხვედრები. ახლახან აქტივის კრების ტრიბუნიდან მტკიცედ ითქვა, რომ მეალი მოსახლეობა დაირაზმება ამ საშიში მანკიერების წინააღმდეგ და ბრძოლას არ შეწყვეტენ, სანამ სასიკეთო მიზანს არ მიაღწევენ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# დანაშაული გამართიანებულ ძალებით უნდა აღვკვეთოთ!

**60 წლისა** შესრულდებოდა აბესალომ ვიჭტორის ძე ჭანტურია — რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ფლაგმანის, მაღნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის დირექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საუკეთესო ადამიანი, იშვიათი ორგანიზატორი...

მას 58-ე ზაფხულზე შემოაღამდა... აბესალომ ჭანტურია ამ ათიოდე წლის წინათ სათავეში ჩაუდგა მაღნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის კოლექტივს. მაშინ კომბინატი ერთ ადგილას გაყინული იდგა. ყველა ისე გაიტაცა მშენებლობის მასშტაბებმა, რომ უმთავრესი პრობლემები გადაავიწყდათ. კომბინატი პირველი რიგის გახსნის შემდეგ თითქმის სამ წელიწადს უქმად იდგა, პროდუქციას არ აწვდიდა მომხმარებელს. არადა, მოუთმენლად ელოდნენ ქართულ სპილენძს. ასეთ მძიმე პირობებში მოვიდა აბესალომ ჭანტურია მაღნეულში — მოწინავე საწარმოს ნიკიტოვკის კომბინატის დირექტორი.

ნიკიტოვკამდე აბესალომ ჭანტურია იყო ოშის ოლქის სუმსარის მაღაროთსამმართველოს დირექტორი, ჰაიდარკანის კომბინატის დირექტორი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო სახალხო დეპუტატთა ოშის საოლქო საბჭოს დეპუტატად, სკკპ ოშის საოლქო კომიტეტის, უკრაინის კომპარტიის გორლოვკის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად. სახელი და ავტორიტეტი არსად არ აკლდა — არც ყირგიზეთში, არც უკრაინაში, მაგრამ მაინც უყოყმანოდ წამოვიდა საქართველოში. მოწინავე კომბინატის დირექტორობას ჩამორჩენილი შმობლიური არჩია. იცოდა, ჰაერივით სჭირდებოდა მაღნეულს მისი მარილიანი სიტყვა, ცხელი გული, მძნე შეძახილი, ისეთი, შებორძიკებულ კაცს რომ ფეხზე დააყენებს, წელში გამართავს, იმედს მოჰვგრის, და ამიტომაც მოვიდა აქ. კომბინატში საათივით ააწყო საქმე. მისი საოცარი შრომისმოყვარეობისა და უდიდესი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით სულ მცირე დროში მოწინავეთა რიგებში ჩადგა მაღნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი და მას შემდეგ სტაბილურად ასრულებს სახელმწიფო გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. დირექტორის თავდადებული შრომის წყალობით კომბინატმა ვადამდე ერთი წლით ადრე მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს.

როგორც ხელმძღვანელს და როგორც დეპუტატს, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრს, ყოველდღიურად ბევრი საფეიერალ-საზრუნავი, მრავალი სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემა ჰქონდა. იგი მუდამ ისწრაფვოდა ყველა საწარმოო პრობლემა მხოლოდ სოციალურ პრობლემებთან ურთიერთკავშირით გადაეჭრა. მისი მეცადინეობით და ინიციატივით დასახლებაში აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და საბავშვო ბაღები, კომბინატის დამხმარე მეურნეობა, კავშირგაბმულობის კვანძი, საავადმყოფო და მრავალი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი, მისი დიდი ძალისხმევით ნაკლებად დასახლებული სოფელი კაზრეთი თავისებურ საწარმოო სოციალურ-კულტურულ დაბად გადაიქცა, სადაც ამჟამად ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შრომის, თანამედროვე ყოფისა და კულტურული დასვენებისათვის. ა. ჭანტურია ყურადღებით ეკიდებოდა შრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესებას, გულთან ახლოს მიჰკონდა ყველას სიხარული და ტკივილი, ამიტომ უყვარდა ასრულებდა თითოეულ მათგანს, ამიტომ ჰქონდათ მისდამი მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობა.

საოცარი ძალა და სითბო ჰქონდა მის თითოეულ სიტყვას, როცა გვეგონა, ყველაფერი უკვე თქმულია, ყველა გზა და მისადგომი, ყველა ფონი და ბილიკი მოსინჯულია, აბესალომი სწორედ მაშინ იტყოდა სრულიად განსხვავებულს, მხოლოდ მისეულს, ისეთს, კაცს რომ აფიქრებინებს: ეს როგორ არ მომაგონდა, აი, ასე უნდა მეთქვაო. იტყოდა სადაც, უბრალოდ და მიზანსაც ეს აახლოებდა ალბათ.

აბესალომ ჭანტურია ახალი ტიპის ხელმძღვანელი იყო. მას მკვეთრად ჰქონდა განვითარებული ახლის შეგრძნების, პერსპექტივის ხედვის უნარი, ამიტომაც იყო, რომ მისი, როგორც დირექტორის ავტორიტეტი დღეითადან იზრდებოდა. მის სახელთან არის დაკავშირებული ის წარმატებები, რომლებსაც მაღნეულის სამთო-მამდიდრებელმა კომბინატმა მიაღწია უკანასკნელ წლებში, ის მრავალრიცხოვანი გარდამავალი დროშები და ჯილდოები, სამთოელთა კოლექტივი რომ იმსახურებს სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის.

აბესალომ ჭანტურია 400-მდე გამოგონებისა და 21 სამეცნიერო შრომის ავტორი იყო. მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე უმაღლესი ჯილდოებით — ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენითა და მედლებით აღინიშნა.

მან ბევრი რამის გაკეთება შეძლო, მაგრამ ბევრი დარჩა მოუღწეველი და განუხორციელებელი...

როგორ უყვარდა სიცოცხლე... არავის უნახავს წოდენებული და უომედო. არავის უნახავს მოშვებული და ქედმოხრილი. ენერგიული, შემართული, სიცოცხლით აღსავსე იყო მუდამ, საქმისათვის უკან არაფერზე დაიხევდა. არავის დაერიდებოდა, ჩამოჰკრავდა საგანგაშო ზარს და, რადაც უნდა დასჯდომოდა, საქმეს მაინც მოაგვარებდა.

ასეთი იყო სიცოცხლის ბოლომდე: მკაცრიც და ლმობიერიც, მომთხოვნიც და მიტევებელიც. დასჯაც შეეძლო და პატიებაც. დაუნდობელი იყო ზარმაცებისა და არამზადების მიმართ. სამგალეროდ, თბილი იყო და ალერსიანი ბეჯითებისა და გულმოდგინეებისადმი.

რომ დაცლოდა, ვინ იცის რამდენ სურვილს აქცევდა საქმედ, რამდენ პრობლემას გადაჭრიდა, რამდენჯერ დაიხარჯებოდა ქვეყნის სიყვარულით გულანთებული...

თეიმურაზ ხაზარაძე,
პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი.

## გახსენება

# იყო ნამდვილი დირექტორი

## ანგარიშს აბარებს მეცნიერება

# სეტყვა გადაიდო

**...დისპეტჩერ** ეკრანზე წითელი ველია. ასეა აღნიშნული სეტყვის კერები. ქარის სიჩქარე და ძალა, ტემპერატურის რეჟიმი და მრავალი სხვა ფაქტორი წინასწარმეტყველებს სეტყვის განვითარების პროცესს.

— რამდენიმე წამი დასჭირდებათ სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის ცენტრის სპეციალისტებს გადაწყვეტილების მისაღებად. ბრძანებით — „გაშვება“ ცაში აიჭრებიან მშვიდობიანი რაკეტები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ა. დავიდოვს მაღალი მთის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ვ. აბმაევმა, ახალი თაობის პარაკეტურის ერთ-ერთმა შემქმნელმა. ამ ნამუშევრისათვის მეცნიერთა და სპეციალისტთა კოლექტივს 1986 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სეტყვა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენები, რომელთაგან დაცვის საშუალებებსაც ეძებს მეცნიერება, უდიდეს ზარალს გვაყენებს, იწვევს ტყის ხანძრებს. ელექტროგადამცემი ხაზების შერთვას, აჩანაგებს ბაღ-ვენახებს. ისინი საშიშია ავიაციისა და ფლოტისათვის. ერთ-ერთი ასეთი დაცვის საშუალება გახდა მეტეორადიოლოკაცია, რომელიც იძლევა წლისა და დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ამასთან მნიშვნელოვან მანძილზე, საშიში ბუნებრივი მოვლენების დანახვის საშუალებას: ერთი სათვალთვალო პუნქტი მოიცავს 300 კილომეტრამდე რადიუსის ტერიტორიას.

კანონზომიერებათა გამოვლენა ახლა საშუალებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტად გამოვიცნოთ საშიში მოვლენები, განვსაზღვროთ მათი მახასიათებლები. სპეციალისტებს შეუძლიათ გვითხრან, თუ რას შეიძლება ველოდოთ ამა თუ იმ ღრუბლიანობისგან, როგორ გავზომოთ ნალექების ინტენსიურობა, მათი განაწილება ფართობზე, გადაადგილების მამართულება და სიჩქარე.

დიდია ახალი მეთოდის გამოყენებითი ღირებულება. მაგალითად, ნალექების განაწილება საჭიროა მდინარეთა ჩადინების პროგნოზისათვის, ზაფხულში ღვარცოფისა და ზამთარში ზვავის საშიშროების განჭვრეტისათვის. მათი გადაადგილების სიჩქარე კი საშუალებას გვაძლევს დროულად დავიცვათ ადამიანები, ცხოველები, ნაგებობანი, ტრანსპორტი, ელექტროგადამცემი ხაზები, ტყეები, ბაღ-ვენახები, ბოსტნეულ-ბოსტნები, ბალახეულობა, ფეხბურთელ-ფანატიკოსთა ბანაკები, ტურისტული ბანაკები, ბანაობა, ბალნეოლოგიური ადგილსამყოფელი, ავტომანქანა, ავიაფრენა, ელექტროგადამცემი ხაზების ტარება, ელექტროფიკაცია, ელექტროფორეზი, ელექტროფორეზი, ელექტროფორეზი